უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 2

20/3 წ. "31" 07

ქ.თბილისი

შპს - ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად;

3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო მხედველობაში არ იღებს ავტორიზაციის მაძიებლის იმ დოკუმენტს, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ;

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. საბჭომ მოისმინა, როგორც ავტორიზაციის ექსპერტების შეფასებები, აგრეთვე - ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირი ახსნა-განმარტებები დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით. ამასთან, საბჭოს სხდომის ფორმატში, ადგილზე იქნა გადამოწმებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტიცებულებები.

საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გამოარკვია, რომ შპს - ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ იმ ხარვეზებს, რომლებიც ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა არგუმენტირებულად გაბათილებული. კერძოდ:

1. 1.2 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ,,პროფესიული პრაქტიკის" კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად მხოლოდ დასრულებული პრაქტიკის ანგარიშის შეფასებით. შესაბამისად,

საბჭოს მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

2. 1.3 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმის შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემით გათვალისწინებული იყო ხელმძღვანელის შეფასება (40 ქულა). ამავე დროს, არც პროგრამის კურიკულუმში და არც საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ იყო გათვალისწინებული შუალედური შეფასებები. შესაბამისად, საბჭოს მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

3. 1.7 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, მხოლოდ დაცვაზე მიღებული შეფასებით. შესაბამისად, საბჭოს მიაჩნია, რომ დარღვეულია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

4. 1.8 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას და არ იყო უზრუნველყოფილი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები, კერძოდ: ერთ-ერთ საბაკალავრო პროგრამაში მოცემული იყო ისეთი საგნები, რომელთაც წინაპირობებად მითითებული ჰქონდათ საგნების ჩამონათვალი, რომელთა სწავლება სასწავლო პროგრამით არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად აღნიშნული საგნების ათვისება სტუდენტის მიერ იქნებოდა შეუძლებელი. მაგალითად: აუდიტი და კონტროლი (წინაპირობა - ფინანსური მენეჯმენტი), ფული და ფულის მიმოქცევა (ფინანსური მენეჯმენტი), ფინანსური რისკები (ფინანსური მენეჯმენტი), საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები (ფინანსური მენეჯმენტი), საბანკო მარკეტინგი (მარკეტინგის პრინციპები). ყველა ჩამოთვლილი საგანი იყო არჩევითი საგნების ბლოკიდან, საიდანაც სტუდენტი ვალდებული იყო დაეგროვებინა 20 კრედიტი, იმ დაშვებით, რომ აღნიშნულ საგნებს სტუდენტი ვერ აირჩევს. ასარჩევი დარჩება მხოლოდ 4 საგანი, ანუ ზუსტად 20 კრედიტი, რაც არღვევს სტუდენტის თავისუფალი არჩევანის უფლებას. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის ,,ა“ და ,,ე“ ქვეპუნქტები.

5. 1.9 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, ეკონომიკის პროგრამაში წარმოდგენილი პროფესიული პრაქტიკის შინაარსი იგივე იყო, რაც ფინანსების პროგრამისა. პრაქტიკის ობიექტი ორივე შემთხვევაში იყო ბანკი. პროგრამების სპეციფიკიდან

გამომდინარე ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკის შინაარსი განსხვავებული უნდა იყოს ფინანსების პროგრამის პრაქტიკის სილაბუსიდან. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.

6. 1.10 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ყველა საბაკალავრო პროგრამაში ზოგადი განათლების დისციპლინათა ბლოკში ისწავლებოდა ინგლისური ენა ჯამური 20 კრედიტის რაოდენობით 4 სემესტრად, სხვა არც ერთი უცხო ენის სწავლებას პროგრამები არ ითვალისწინებდა, თუმცა ჩარიცხვის წინაპირობებში მითითებული იყო, რომ აბიტურიენტს შეეძლო ნებისმიერი სხვა უცხო ენის ჩაბარება. ასევე, ინგლისური 1 სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელო გათვლილი ისეთ პირებზე, რომელთაც გარკვეული საწყისი ცოდნა გააჩნიათ ინგლისური ენის. შესაბამისად აბიტურიენტი, რომელიც უნივერსიტეტში ჩაირიცხება სხვა უცხო ენით და არ იცის ინგლისური, ვერ შეძლებს პროგრამით შემოთავაზებული ინგლისური ენის კომპონენტების დაძლევას. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.

7. 1.11 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა საბაკალავრო პროგრამაში ზოგადი განათლების დისციპლინათა ბლოკში ისწავლებოდა ინგლისური ენა ჯამური 20 კრედიტის რაოდენობით 4 სემესტრად, რომელთა სილაბუსები ერთია ყველა პროგრამისათვის და არ ითვალისწინებს დარგობრივი უცხო ენის სწავლებას. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მე-3 დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი.

8. 1.13 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულებაში სემესტრის ხანგრძლივობად 19 კვირაა განსაზღვრული, თუმცა 2012-2013 სასწავლო წლის 1 სემესტრის ვადების განსაზღვრის №12/31ბრძანებაში, 1 სემესტრის დაწყების ვადად მითითებულია 1 ოქტომბერი, დასრულების ვადა განსაზღვრული არაა, მაგრამ სემესტრის ფინალური გამოცდების განრიგის მიხედვით სემესტრი დასრულდება 9 თებერვალს, (ვებ-გვერდის მიხედვით 11 თებერვალს). 1 ოქტომბრიდან 11 თებერვლამდე პერიოდი არის სრული 19 კვირა, და ეს პერიოდი არ ითვალისწინებს გადაბარების უფლების მქონე სტუდენტებისათვის (41-50 ქულა) განმეორებითი გამოცდებისათვის გამოყოფილ დროს. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.

9. 1.14 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგთან დაკავშირებით დაფიქსირდა

შემდეგი ხარვეზები: სტუდენტის შეფასების სისტების კომპონენტის დასახელება არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით" გათვალისწინებულ შეფასების სისტემას, რომლის მიხედვით შეფასება (FX) ნიშნავს ვერ ჩააბარას და არა არადამაკმაყოფილებელს, როგორც ეს მითითებულია კატალოგში.

ასევე შეფასების სისტემაში არ იყო მითითებული B, C, D, E, F შეფასების შესაბამისი ქულები. ამავე დროს მითითებული იყო, რომ საბოლოო გამოცდაზე სტუდენტის დაშვებული იქნება მას შემდეგ, რაც იგი დააგროვებდა 11 ქულას, ხოლო დანარჩენს შეაგროვებდა ფინალური გამოცდის დროს. შესბამისად, საბჭოსთვის გაუგებარია, რამდენი ქულა მოიაზრებოდა ამ დანარჩენში, რამდენი ქულა იყო საჭირო დადებითი შეფასების და შესაბამისად, კრედიტის მისაღებად.

დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ შუალედურ შეფასებები სემესტრის მანძილზე ტარდებოდა 3-ჯერ. შეფასების მეთოდებში მითითებული იყო მხოლოდ ორი - I და II შუალედური გამოცდა. ასევე მითითებული იყო, რომ საბაკალავრო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევოდა ნაშრომის დაცვის გამეორების შესაძლებლობა ერთი თვის შემდეგ. საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეფასების სისტემას, რადგან დამატებით (განმეორებით) გამოცდაზე სტუდენტს შეუძლია გავიდეს კონკრეტული უარყოფითი შეფასების (Fx) მიღების შემთხვევაში, რადგან უარყოფით შეფასება (F) ჩაიჭრა (მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული პრაქტიკის შეფასების მეთოდებში მითითებული იყო, რომ დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 61 ქულა. საბჭომ მიიჩნია, რომ მოცემული წესი წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, რომლის შესაბამისად მინიმალური დადებითი შეფასებაა 51 ქულა.

კომპიუტერული სისტემების და ქსელების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება არ შეესაბამება პროგრამის კურიკულუმში მითითებულ დასახელებას ,,კომპიუტერული ინფორმაციული სისტემები", ხოლო მითითებული მიმართულების დასახელება ,,ინჟინერია" ქართულად და ,,Computer Technologies" არ შეესაბამება ერთმანეთს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კატალოგის არც ნაბეჭდი და არც საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ვერსიები ვერ უზრუნველყოფენ იმ ინფორმაციის სისწორეს, რომელიც კატალოგის მეშვეობით უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი" და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" მე-13 მუხლი.

10. 1.15 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულების წესდების მიხედვით, სტუდენტი, რომელსაც შეუწყდა სტატუსი უნივერსიტეტიდან მისი სურვილის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლოა აღდგეს უნივერსიტეტის სტუდენტად. საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებს.

11. 2.3 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი.

12. 2.4 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, წიგნები არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. სილაბუსების ნაწილის შემოწმების დროს ვერ მოიძებნა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის ,,თ" ქვეპუნქტი.

13. 2.5 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულების ვებ-გვერდი ნაწილობრივ ასრულებდა საინფორმაციო ფუნქციას, რადგან ზოგიერთი რუბრიკა საერთოდ არ შეიცავდა შესაბამის ინფორმაციას. ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული ბიბლიოთეკის კატალოგის ელექტრონული ვერსია, ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი. შესაბამისად საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" 25-ე მუხლი.

14. 3.1 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად, დაწესებულებაში 2010 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად საქართველოს ისტორიის მიმართულებაზე არჩეული ორი ასოცირებული პროფესორი წარმოადგენდა ფილოსოფიის დოქტორს. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ბრბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.

15. საბჭოს მიაჩნია, რომ 3.4 პუნქტში (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) დაფიქსირებული შენიშვნა წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებულ ხარვეზსს. კერძოდ, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ჩატარებული იყო ორჯერ:

პირველი კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2010 წლის 20 თებერვლის №10/06 ბრძანებით. კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ ახალი თაობის 2010 წლის 23 თებერვლის ნომერში.

კონკურსის შედეგად, საქართველოს ისტორიის მიმართულებაზე გამოცხადებულ 2 ასოცირებული პროფესორის ადგილზე არჩეულ იქნა 5 ასოცირებული პროფესორი; სამართლის მიმართულებაზე გამოცხადებულ 2 ასისტენტ-პროფესორის ადგილზე არჩეულ იქნა 3 ასისტენტ-პროფესორი.

მეორე კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2011 წლის 4 მარტის №11/08 ბრძანებით. კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ განცხადება გამოქვეყნებული იყო გაზეთ ახალი თაობის 2011 წლის 8 მარტის ნომერში. კონკურსი გამოცხადებული იყო შემდეგ მიმართულებებზე: სამართალი, ეკონომიკა, ფინანსები, სტომატოლოგია, კომპიუტინგი/ინფორმატიკა, ისტორია. დაწესებულების რექტორის 2011 წლის 11 მარტის №11/12 ბრძანებით შესწორება შევიდა 2011 წლის 4 მარტის №11/08 ბრძანებაში და სტომატოლოგიის მიმართულებას დაემატა ერთი ასოცირებული პროფესორის, ხოლო დაწყებითი განათლების მიმართულებაზე ერთი სრული პროფესორის ვაკანსია. აღნიშნული ცვლილება გამოქვეყნდა მხოლოდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და არ გამოქვეყნებულა მასმედიის რომელიმე საშუალებით. კონკურსის შედეგად სტომატოლოგიის მიმართულებაზე გამოცხადებულ ორი ასოცირებული პროფესორის ადგილზე არჩეულ იქნა სამი ასოცირებული პროფესორი.

შესაბამისად, დარღვეულია - ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" 27-ე მუხლი.

16. 3.3 პუნქტის (სხდომის ოქმი №1 – 31.07.2013-01.08.2013) თანახმად საბჭომ მიიჩნია, რომ პირველი კონკურსის დარღვევებით ჩატარების გამო, მისი გაბათილების შემთხვევაში, ქართული ენისა და ლიტერატურის - ფილოლოგიის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის - ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ. შესაბამისად, დარღვეული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,დ" ქვეპუნქტი.

შესაბამისად, დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202205130) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ივლისის - 1 აგვისტოს №1 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე